ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N05

25 მარტი 2022 წელი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2022 წლის 25 მარტს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, მურად ბურჯანაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, თეა გოგნაძე, შალვა მშვილდაძე, ბიძინა ჯაბიძე, გიორგი კოტორეიშვილი, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, ნინო ფურცელაძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, ზაზა ზივზივაძე, გურამ ჩხეიძე, მაკა მესხი, ზვიად გუმბერიძე, ვლადიმერ წიქორიძე, დიომიდე კიკნაველიძე, ირაკლი გოგსაძე, ნინო კვირიკაძე.

სულ: 20 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: ჯუმბერ რობაქიძე, გვანცა გრძელიძე, მაია კბილაშვილი, შადიმან გორგოძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

უჩა გელხვიიძე-მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

თინა აბულაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

აზა ნერგაძე - მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი საკრებულოსთან ურთიერთობის საკითხებში;

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც სხდომას გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.

მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ანგარიში: „2021 წელში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის დასრულების მდგომარეობისა და 2022 წელში განსახორციელებელი პროექტების მშენებლობის დაფინანსების შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა
და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

3. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 ოქტომბრის N გ-67.67212812 (42 62) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. თინა აბულაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივ და საერთაშორისო
დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მე-2 კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. თეა გოგნაძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ
და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:
დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 23 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.
მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში საკრებულოს სხდომაზე წარადგინა: **ლერი გუმბერიძემ-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.**
მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დასკვნა, 2021 წლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით სხდომას გააცნო, ამავე სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა-უჩა გელხვიიძემ.

აზრი გამოთქვეს: გურამი კიკნაველიძემ, ნინო კვირიკაძემ, ვლადიმერ წიქორიძემ, გია კოტორეიშვილმა, თეა გოგნაძემ, ზაზა ზივზივაძემ, ნოდარი გიორგიძემ.
ნინო კვირიკაძე - საკრებულოს წევრი „გახარია-საქართველოსათვის“, იგი დაინტერესდა თუ როდის შეიქმნება სამუშაო ჯგუფი ააიპ-ის საშტატო ნუსხების შესაბამისობის შემოწმება ხარჯებთან. უ. გელხვიიძე - აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ უახლოეს პერიოდში ჯგუფი შეიქმნება და დაიწყებს მუშაობას.
საკრებულოს კომისიის დასკვნა წარმოადგინა: **მურად ბურჯანაძემ- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N11 განკარგულება:გ-67.67220845 თარიღი:25/03/2022 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 17 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 17 საკრებულოს წევრმა (არ მონაწილეობდა კენჭისყრაში ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2. მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ანგარიში: „2021 წელში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის დასრულების მდგომარეობისა და 2022 წელში განსახორციელებელი პროექტების მშენებლობის დაფინანსების შესახებ.

სამსახურის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის და 2022 წელში დასაფინანსებელი და შესასრულებელი პროექტების შესახებ მოხსენება გააკეთა: **კახა მსხვილიძემ- მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.**

აზრი გამოთქვეს: თორნიკე გაჩეჩილაძემ, ირაკლი გოგსაძემ, სიმონ ჭოლოკავამ, გია სახამბერიძემ, ნოდარი გიორგიძემ
საკრებულოს კომისიაში ანგარიშის განხილვის შედეგები და კომისიის შეფასება სხდომას მოახსენა: **თორნიკე გაჩეჩილაძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.**

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N12 განკარგულება:გ-67.67220844 თარიღი:25/03/2022 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 22 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3„ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 ოქტომბრის N გ-67.67212812 (42 62) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცვლილების პროექტის საკრებულოს წევრებს გააცნო: თინა აბულაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.
საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა, კომისიის თავმჯდომარემ თორნიკე გაჩეჩილაძემ

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N13 განკარგულება:გ-67.67220843 თარიღი:25/03/2022 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 22 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. .ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ.

საიჯარო ქირის განსაზღვრის განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო: ქეთევან კარკაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა წარმოადგინა: თორნიკე გაჩეჩილაძემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N14 განკარგულება:გ-67.67220842 თარიღი:25/03/2022 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 22 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მე-2 კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

საკრებულოს სხდომებზე მე-2 კვარტალში განსახილველი საკითხების გეგმა საკრებულოს წევრებს გააცნო: **თეა გოგნაძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.**

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N15 განკარგულება:გ-67.67220841 თარიღი:25/03/2022 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 22 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: **ნოდარ გიორგიძე**